სრულიად ბელარუსის საპატრიარქო ეგზარქოსმა მინსკში ძველმესტილეთა ტაძრის საფუძვლის დადების წეს-განგება შეასრულა

2021 წლის 2 აგვისტოს, წმინდა ელია წინასწარმეტყველის ხსენების დღეს, სრულიად ბელარუსის საპატრიარქო ეგზარქოსმა, მინსკისა და ზასლავის მიტროპოლიტმა ბენიამინმა მინსკში ძველმესტილეთა თემის წმინდა ელია წინასწარმეტყველის სახელობის ტაძრის საფუძვლის დადების წეს-განგება შეასრულა.

მიტროპოლიტ ბენიამინს თანამსახურებდნენ: მინსკის 2-ე საქალაქო რაიონის ბლაღოჩინი, ქალაქ მინსკის „ყოველთა მწუხარეთა სიხარულის“ სახელობის ტაძრის სამრევლოს წინამძღვარი, ბელარუსის მართლმადიდებელი ეკლესიის კაზაკთა თემთან თანამშრომლობისა და საეკლესიო ხელოვნების, არქიტექტურისა და რესტავრაციის სინოდალური განყოფილებების თავმჯდომარე დეკანოზი იგორ კოროსტელევი; ქალაქ მოსკოვის სტუდენცებში მდებარე ერთსარწმუნოების წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის წინამძღვარი ილუმენი პეტრე (ვასილევი); მინსკის სული წმიდის სახელობის საკათედრო ტაძრის კლირიკოსი მღვდელი დიონისე კოვალევი.

საღვთისმსახურო საგალობლები შეასრულა გუნდმა მოსკოვის სტუდენტებში მდებარე წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის გუნდის რეგენტის ვასილი სოროკინის ხელმძღვანელობით.

საფუძვლის ჩაყრის წეს-განგების დასრულების შემდეგ მეუფე ბენიამინმა დამსწრეებს დამრიგებლური სიტყვით მიმართა, რის შემდეგ საპატრიარქო ეგზარქოსი ტაძრის სამშენებლო გეგმას გაეცნო და მრევლს გაესაუბრა.

***

1998 წლიდან მინსკის წმინდა ელია წინასწარმეტყველის სახელობის თემი შედიოდა უძველესმართლმადიდებელთა პომორიის ეკლესიაში; 2005 წლიდან თემის კრებამ მიიღო გადაწყვეტილება სამღვდელოების აღდგენაზე და მოსკოვის საპატრიარქოს ბელარუსის მართლმადიდებელ ეკლესიაში შესვლაზე. 2006 წელს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდის გადაწყვეტილებით თემი მიღებულ იქნა მის იურისდიქციაში.

სსკგ-ს კომუნიკაციის სამსახური

ბელარუსის მართლმადიდებელი ეკლესიის ოფიციალური პორტალის

ინფორმაციის მიხედვით

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87844/